# ივერია

ბაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

...ის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ- ...ს ...შედათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ- ციას, კუკიაში, აფშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ- ლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა- დოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბან- კის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი- ქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—10)


## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა.

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვების სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ო. ტარანოვი.

(10—2)

## სასწავლებელი და პანსიონი ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—6)


ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი აცხადებს ნათესავთა და მშობელთა საცნობელად, რომ ყმაწვილთა ამ სასწავლებელში მისაღებად საჭიროა: 1) სასწავლებელში მისაღებ თხოვნასთან ერთად (უბრალო ქაღალდზედ) დირექტორის სახელობაზედ წარდგენილი იყოს შემდეგი ქაღალდები: წლოვანების მოწმობა, ჯანმრთელობისა და ყვავილის აცრის მოწმობა და ყოფა-ქცევის მოწმობა, თუ ყმაწვილი წინად სხვა სასწავლებელში ყოფილა, 2) სასწავლებელში მიიღებენ ყმაწვილებს არა ნაკლებ $13^1/_2$ წლისა (1 ენკენისთვისთვის) და არა უფროს 18 წლისა, 3) სასწავლებელში მისაღებ ყმაწვილებს გამოსცდიან საღმრთო წერილისა, რუსულ ენისა, ქართულისა ანუ სომხურის (შთამომავლობის დაგვარად) ენისა და არითმეტიკის ცოდნაში, იმ პროგრამით, რომელიც მიღებულია პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში.

სასწავლებლების შესახებ დაწვრილებით ცნობათა გაგება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე 8 საათიდგან 12 საათამდე. იქვე მიიღებენ სასწავლებლებში მისაღებ თხოვნებს.

გამოსაცდელ ეგზამენებისა და განსამეორებელ ეგზამენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(3—2)

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 5 აგვისტოს დილით იყო 12 კაცი და 3 დედაკაცი. ამ დღეს მოიყვანეს 1 დედაკაცი—ირინა ტეტერინისა (9 ნაწ., კრამიტის ქუჩა, სალარაშვილის სახ.). მორჩა ორი დედაკაცი: კოტოვისა და ვარდანაშვილისა; გარდაიცვალა ერთი კაცი—ოჰანეზოვი. 6 აგვისტოს დილით იყო 11 კაცი და 2 დედაკაცი. ამ დღეს მიიყვანეს 2 დედაკაცი: ასტამარა ასტვაცატუროვისა (3 ნაწ., ორბელიანის პატ. ქუჩა, ორბელ. სახლი) და ელენე ნიკიტინისა (10 ნაწ., ერისთავის ქუჩ., სახ. პოროშინისა). გარდაიცვალა 2 კაცი: ვოლგოსი და სარქისოვი. 7 აგვისტოს დილით იყო 9 კაცი და 4 დედაკაცი.

მაჰმადიანთა დროებითს სახოლერო ფარდულში 6 აგვისტოს მიიყვანეს 1 კაცი—ჰუსეინ-ჰასან-ოღლი, ბათუმიდგან მოსული და 7 აგვისტოს გარდაიცვალა. ამ ფარდულში ავად აღარავინ არის.

ავად დახდნენ და შინ სწამლობენ: 3 აგვისტოს: სალომე ჯანიევისა (5 ნაწ., სახ. ანტონოვისა, ყრუ ქუჩა); 6 აგვისტოს—მათუზ მალეროვი (7 ნაწ., საკუთ. სახლი); ხოლერით ავადმყოფებად არ იქმნენ მიჩნეულნი: პეტროს ვართანოვი, ალექსანდრე იაგოროვი და ალექს. ტიტლიუხი. 6 აგვისტოს გარდაიცვალა სალომე ჯანიევისა, რომელსაც სახლში სწამლობდნენ.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება: 4 ӗ 5 აგვისტოს სოფ. დაგეთხაჩინში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3, მორჩა 3; ხაშმში ავად გახდა 1, მორჩა 3; ნინოწმიდაში მორჩა 3; საგარეჯოში ავად გახდა 29, გარდაიცვალა 14, მორჩა 6; სართიჭალაში ავად გახდა 1; მუღანლოში ავად გახდა 4, გარდ. 3; ბერთუბანში ავად გახდა 1; ახალშენ მარიენფელდში გარდ. 1; დილომში ავად გახდა 1, გარდ. 1; ზემო ავჭალაში ავად გახდი 3; უჯარმაში გარდაიცვალა 1; ახალსოფელში ავად გახდა 3, გარდ. 1.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 4 აგვისტოს სოფ. არაგვაში ავად გახდა 1, გარდ. 1; ხოსპიაში ავად გახდა 2, გარდ. 2; გამურდოში ავად გახდა და გარდ. 2; ხერთვისში ავად გახდა 3; კიდევ გამოჩნდა ხოლერა პატარა კოდურეთში და 2 გახდა ავად; ქ. ახალქალაქში 1 მორჩა ; სულ 4 აგვისტოს ავადმყოფი იყო 46 კაცი მაზრაში და 1—ქალაქში.

თიანეთის მაზრის ექიმის სიტყვით, 4 აგვისტოს სოფ. დიღმელაურში მორჩა 2, ავად გახდა 3, ӗ მათში გარდაიც. 1. ბევრს სოფელში ფალარათობა და პირ-ღებინება მძვინვარებს.

გორის მაზრის ექიმი იუწყება: სოფ. ახალქალაქში 2 აგვისტოს ავადმყოფი იყო 23 კაცი., 5 აგვისტომდე კვლავ გახდა ავად 12, მორჩა 14, გარდ. 5; სოფ. კავთისხევში 4 აგვისტოს ავად იყო 2; თელაუგორში 2. ჩოჩეთში 3, ზემო-ხანდაკში 5. მეტეხში 3. სენი თანდათან მცირდება სოფლებში. სოფ. ახალქალაქში უკანასკნელად ისინი გახდნენ ავად, რომლეიბც ტყეში გაიხიზნენ და ისევე დაბრუნდნენ.

ცხინვალის მაზრის ექიმი იუწყება: 1-დგან 6 აგვისტომდე სოფ. ცხინვალში ავად იყო 65, ავად გახდა 30, მორჩა 20, გარდ. 15, დარჩა 60; ზემო-ნიქოზში ავად იყო 5, ავად გახდა 40, მორჩა 15, გარდ. 20, დარჩა 10; სოფ. შინდისში იყო 15, ავად გახდა 35, მორჩა 15, გარდ. 18, დარჩა 17; ხეითში იყო 6, ავად გახდა 10, მორჩა 6, გარდ. 4. დარჩა 6; ფხვენისში იყო 1, ავად გახდა 20, მორჩა 10, გარდ. 6, დარჩა 5; ქვემო-ნიქოზში იყო 7, ავად გახდა 16, მორჩ: 13, გარდ. 5,

# ფელეტონი

## ხოლერის შესახებ

„ხოლერა“ ბერძნული სიტყვაა. ჰიპოკრატი ამტკიცებდა, რომ სიტყვა „ხოლერა“ ორ ბერძნულ სიტყვიდგან წარმოსდგებაო: „hole“ (ნაღველა) და „rein“ (დენა). ჰიპოკრატს ეგონა, რომ ხოლერის დროს ფალარათობას ნაღველა აჩენსო. მკურნალი გალენი ამტკიცებს, რომ სიტყვა „ხოლერა“ წარმოსდგება ბერძნულ სიტყვიდგან „holades“ (ნაწლევი). ეს აზრი, ჩვენის ფიქრით, უფრო საფუძვლიანია, რადგანაც ხოლერა პირველად ადამიანის ნაწლევებს მოედება ხოლმე. ზოგიერთნი მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ სიტყვა „ხოლერა“ ებრაულიაო. ებრაულს ენაზედ არის ერთი სიტყვა „holira“—ავი სენი.

ძნელია სთქვას კაცმა, რომელი აზრია მართალი და რომელ სიტყვისაგან წარმოსდგება „ხოლერა“. ეს-კი ვიცით, რომ ძლიერ დიდი ხანია, რაც ინდოეთში ხოლერა გაჩნდა. ინდოეთის მკურნალი სუზრეტი, რომელიც ქრისტეს დაბადების რამდენისამე ასის წლის წინად სცხოვრობდა, თავის თხზულებებში ხოლერას იხსენიებს. ხოლერის შესახებ სწერდა აგრეთვე მეცნიერი ჰიპოკრატი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე ხუთასის წლის წინადა სცხოვრობდა. სხვათა შორის, ხოლერის შესახებ სწერია ისო ზირაქის წიგნის ბერძნულ თარგმანშიაც (თავი 31 ӗ 37). ისო ზირაქი სცხოვრობდა ეგვიპტეს მეფის პტოლომე ევარგეტის დროს. ხოლერას იხსენიებენ აგრეთვე საბერძნეთისა და რომაელთა ძველი მწერალნი: ცელსი, არეტეი, ცელია-ავრელიანი და ალექსანდრე ტრალსელი. ამ მწერალთა სიტყვით, ინდოეთში ხოლერა ყოველთვისა ყოფილა. ინდოეთის მცხოვრებნი ამ სენს სხვა-და-სხვა სახელს არქმევდნენ: „haidsa“, mordchfa“, „mordexin“ და სხვანი.

**

ინდოეთის ერთს ნაწილში, რომელიც მდინარე განგის ხეობაში მდებარეობს, ხოლერა ზამთარ-ზაფხულს არის ხოლმე და აქედგან ხანდახან ჯერ ინდოეთს ედება ხოლმე და შემდეგ მთელს დედამიწის ზურგს. პროფესორმა კოხმა ინდოეთის ერთი ნაწილი დაათვალიერა და დარწმუნდა, რომ ინდოეთის ის ნაწილი, რომელსაც სახელად ბენგალია ეწოდება, მშვენიერს ნიადაგს წარმმოადგენს ხოლერისთვისა. ბენგალიაში ძლიერ ბევრი მდინარეა, რომელიც განგს ერთვის და წყალ-დიდობის დროს მთელი ბენგალია წაილიკება ხოლმე. ალაგ-ალაგ დაგუბებული წყალი ყროლდება და შიგა ჩნდება მრავალ ნაირი ბაქტერია. ამ მიზეზის გამო მთელს ქვეყანაში ისეთი კარგი ნიადაგი არსად არის ხოლერისთვის, როგორც ბენგალიაში. ინდოეთის ორს ქალაქ.ა, იესორასა და კალკუტაში, თითქმის ყოველ წლივ არის ხოლმე ხოლერა, თუმცა ყოველთვის ერთ ნაირად არა მძვინვარებს. 1503 წელს პორტუგალიის მოგზაურის ვასკო-დე-გამას ერთი აფიცერი, გასპარ კორრეა სწერდა, კალკუტასა, გოასა და ინდოეთის დასავლეთ ნაპირზედ რაღაც ავადმყოფობა გაჩნდაო. ადამიანს პირ-ღებინებასა და ფალარათობასა ჰგვრიდა, კუნთები ეკვრებოდა და რამდენისამე საათის შემდეგ კვდებოდა. ამ ავადმყოფობით იმდენი ხალხი იხოცებოდა თურმე, რომ დასაფლავებას ვერ ასწრობდნენ, და ავადმყოფობაც ისეთი საშინელი იყო, რომ ბევრი ვერ უძლებდა და თავს იწამლავდაო. 1563 წელს მეორე პორტუგალელმა, გარსია დორტამ აღწერა ხოლერა, რომელიც გოაში მძვინვარებდა. 1628 წელს გერმანიის მკურნალი ბონციუსი სწერდა ხოლერის შესახებ ბატავიაში. ამას შემდეგ ხოლერას იხსენიებს საფრანგეთის მოგზაური სონნერი. სონნერის სიტყვით, 1768 და 1769 წლებში ხოლერა საშინლადა მძინვარებდა პონდიშერსა და კორამანდელის ნაპირზედ და ამ ადგილებში ერთის წლის განმავლობაში 60,000 კაცი იმსხვერპლა. 1774 წელს, როგორც მკურნალი პეისლი სწერდა, ხოლერა მუსრს ადენდა ქალაქ მადრასის მცხოვრებთ და ინდოეთში მყოფს ინგლისის ჯარსა. დიდი ხოლერობა იყო ტრინკვემელატში 1773 წელს, კორამანდელის ნაპირებზედ 1780 წელს და 1787—1790 წლებში ხოლერა გაჩნდა ამბოროს ხეობაში, არკოტიოლქში, განჯუბსა და გურდვარში (ინდოელთა სალოცავი ადგილებია) საცა დღესასწაულის დროს მრავალი ხალხი თავს იყრის ხოლმე.

**

1817 წელს ხოლერის ამბავმა მთელი ქვეყნიერობა შეაწუხა და განათლებულ სახელმწიფოთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რადგანაც ოსტ-ინდიაში აუარებელი ხალხი იმსხვერპლა. შემდეგ ინდოეთის მთელს ნახევარ-კუნძულს მოედო, საზღვრებს გადავიდა და სხვა-და-სხვა გზითა და სხვა-და-სხვა მხრივ გავრცელდა დედა-მიწის ზურგზედ. მას აქეთია ხოლერა რამდენჯერმე გადმოსულა ინდოეთიდგან და სხვა ქვეყნებსაც სწვევია.

1817 წელს ხოლერა ერთსა და იგივე დროს ბეგორის სხვა-და-სხვა ადგილს გაჩნდა. მაისში ხოლერამ თავი იჩინა ნოდდიაში. ეს ადგილი სძევს განგის ნაპირზედ. ივნისში ხოლერა გაჩნდა მაიმანსინგში, მდინარე გუგლისა და ბრამაპუტრას ნაპირებზედ; ივლისში—პატნასა და დაკკაში. აქედგან ხოლერა წავიდა ალმოსავლეთ-სამხრეთისკენ და ბალასორამდე მიაღწია. ინგლისელებმა პირველად მხოლოდ მაშინ მიაქციეს ყურადღება ხოლერას, როცა იგი ქალაქ იესორაში გაჩნდა.

დარჩა 5; თამარაშენში იყო 3, ავად გახდა 12, მორჩა 5, გარდ. 5, დარჩა 5; ზემო-ხვითში იყო 4, ავად გახდა 20, მორჩა 6, გარდ: 10, დარჩა 8; ქვემო-ხვითში იყო 1, ავად გახდა 30. მორჩა 11, გარდ. 10, დარჩა 10; დგვრისში იყო 1, ავად გახდა 10, მორჩა 4, გარდ. 3, დარჩა 4: სვირში იყო 2, ავად გახდა 4, გარდ. 3, დარჩა 3.

## ახალი ამბავი

⁂ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან ბრძოლისათვის კიდევ მივიღეთ ბ-ნ ივანე ზედგინიძესაგან შეკრებილი 4 მან. 50 კაპ., ეს ფული შემოუწირავთ: კონსტანტინე გულასპოვს 2 მან., მელანია სტეფანეს ასულს შათიროვისას 1 მან., საშა კუკავაძეს 1 მან. და დათიკო თეთრაძეს 50 კ. ამას გარდა 1 მან. ამავე საგნისათვის მივიღეთ სოფ. შილდის მცხოვრებელ ბართლომე ნიკოლოოზიშვილისაგან. სულ 5 მან. 50 კაპ. ამ ფულისა გვქონდა 482 მან. 85 კაპ., ამითი შესდგა 488 მან. 35 კაპ.

⁂ რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა დახმარება ახლო-მახლო სოფლებისა ქალაქის მიერ, სჩანს იმ მოხსენებიდგან, რომელიც წარმოადგინა ამ დღეებში მეთერთმეტე სასანიტარო რაზმის ექიმმა როტინიანცმა. როტინიანცი თავისს მოხსენებაში ამბობს, რომ ზემო და ქვემო ავჭალაში, წავკისსა, დიღომს და ალექსანდერდორფში 25 ივლისიდგანვე გამართულ იქმნა ავადმყოფთა საწოლები, გაიგზავნა ფერშლები, ყოველ გვარი წამალი და სადეზინფექციო მოწყობილება. გარდა ამისა, თითქმის ყოველ დღე დაიარება ან ექიმი როტინიანცი, ან იმისი თანაშემწე. შედეგი ასეთის მოქმედებისა ის იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი აღარა ჰხდებიან ავად, ხოლერიანებს ჰპატრონობენ და სენი თან დათან სუსტდება. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ტფილისისთვისაც, რომელსაც ხსენებულ სოფლების შიში აღარ ექნება.

⁂ ქალაქის თვით-მმართველობა წელიწადში ჰხარჯავს პოლიციის შესანახავად შვიდი ათას ცხრაას თუმანს. უმაღლესს მთავრობას განზრახვა ჰქონდა, რომ უფრო მომეტებული ხარჯი შეეწერნა ქალაქისთვის. ქალაქის გამგეობა-კი სთხოვდა მთავრობას, რომ ისეც მომეტებულს ხარჯს ვიხდით, ვიდრე რუსეთის სხვა ქალაქები იხდიანო, და ამიტომ სამართალი მოითხოვს, ტფილისიც ისე იხდიდეს საპოლიციო ხარჯს, როგორც სხვა ქალაქებიო. ამ დღეებში პეტერბურგიდგან მოვიდა ცნობა, რომ სახელმწიფო საბჭომ არც მოუმატა არსებულ ხარჯს და არც დააკლო და დაადგინა, რომ ხუთის წლის ვადით დარჩეს კვლავინდებურად წელიწადში ისევ 79,000 მანეთიო.

⁂ ხელმწიფე იმპერატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, უმაღლესად კეთილ ინება და მეუღლე ტფილისის გუბერნატორისა, კნეინა მარია ალექსანდრეს ასული შერვაშიძისა დაინიშნა ტფილისის საპატიმროს კომიტეტის სამზრუნველოს დედათა განყოფილების თავმჯდომარედ.

⁂ 6 აგვისტოს ვანქის გალავანში დიდის ამბით დაასაფლავეს სომეხთა ეპისკოპოსი მამბრე, რომელიც გარდაიცვალა კოჯორში.

⁂ გუშინდლიდგან ბაქოდგან ხალხის მატარებელი № 4 ტფილისში თავის დროზედ მოდის, 5 ს. 50 წ. საღამოზედ, რადგანაც გზაზედ აღარავითარი დაბრკოლება არ არის. ის სახალხო მატარებელი, რომელიც ტფილისსა და განჯას შუა დაიარებოდა, დროებით შეჩერებულია.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ განკარგულება მოახდინა, რომ ხოლერიანთა ფარდულები, რომელიც რკინის გზის სადგურებზეა, აშენებულია ახლო სოფლების მცხოვრებლებისათვისაცაო. რკინის გზის მკურნალნი მოვალენი არიან, რომ ამ ავადმყოფთაც ყური უგდონ და შემწეობა აღმოუჩინონ, როდესაც დრო ექნებათო.

⁂ ადრევე ქალაქის ლაბორატორიამ ყურადღება მიაქცია სანიტარებისა იმ გარემოებას, რომ ევგენი ზემელის ქარხანაში მომზადებული შუშხუნა წყლები ძალიან უსუფთაოდ კეთდებაო. ეს გარემოება დაასაბუთა პოლიციის მეათე ნაწილის ბოქაულმა და ქიმიურის ლაბორატორიის გამგებელმა; სიფონში და ზელცერის წყალში ჭიანჭველები ტივტივებდნენ: ბ-ნმა პოლიცმეისტერმა გაგზავნა ლაბორატორიაში შესამოწმებლად ერთი ბოთლი მსხლის წყალი, რომელიც საშინელი მღვრიე იყო და შიგ მკვდარი კრაზანა ტივტივებდა.

⁂ პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა ბ-ნი მარრი ამ დღეებში წავიდა ბორჯომიდგან პეტერბურგს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზას ჩვეულებრივ ჰყავს: 20 მკურნალი, ფერშალი 25, პროვიზორი 1, ბებია 3, ეკონომი 1, საქმის მწარმოებელი 1, მოსამსახურენი 38, ხოლერის დროს დაიქირავეს: მკურნალი 30, ფერშალი 41, სტუდენტი ექიმი 1, საავადმყოფოს მოსამსახურე 26. იმ 11 სამკურნალოსათვის, რომლებიც სადგურებზედ არის გამართული ხოლერიან ავადმყოფებისათვის—43 და 4 სადეზინფექციო სადგურებისათვის—56 მოსამსახურე. ბაქოსა, ევლახსა, ალსტაფასა, ტფილისსა და ბათუმში გაიგზავნა თხუთმეტ-თხუთმეტი საწოლი, აჯიქაბულსა და სამტრედიაში—ათ-ათი, უჯარმასა, გომსა და ფოთში რვა-რვა. სასანიტარო ვაგონი სულ 36 მომზადებულია.

⁂ 11 აპრილს 1890 წლისას, კოლეჟსკი სოვეტნიკმა ვასილ ნიკოლოოზის ძემ სტეფანოვმა შეადგინა ანდერძი, რომლის ძალითაც ერთი მეოთხედი მისის საცხოვრებლისა უნდა გადაიდოს სახელოსნო სასწავლებლისა და იმ თანხების სასარგებლოდ, რომელიცა გროვდება კავკასიის უნივერსიტეტისა და ობოლთა თავ-შესაფარისათვის. აღმასრულებელმა განსვენებულის სტეფანოვის სურვილისამ, ბ-ნმა მ. გ. გრიგორიევმა, ამ დღეებში წარმოუდგინა ქალაქის გამგეობას 6853 მანეთი და 4 კაპ. სახელოსნო სასწავლებლისა და უნივერსიტეტის სასარგებლოდ, ხოლო 3426 მანეთი და 52 კაპ. გარდასცა ობოლთა თავ-შესაფარს. ამასთანავე ბ-ნი გრიგორიევი აცხადებს, რომ გასანაღდებელია კიდევ 20.000 მანეთამდე სხვა-და-სხვა გირავნობის ქაღალდებიო. გარდა ამისა, ასაღები ფული აღმასრულებელ ფურცლების ძალითო და, როდესაც გავანაღდებ, კვლავ ერთს მეოთხედს შემოვიტან დანიშნულებისამებრო.

⁂ თელავის მაზრაში ავადმყოფობა არის „სისხა“, რომლითაც ზოგი რჩება და ზოგიც კვდება.

⁂ სოფ. ვაჩნაძიანი: ივლისის 19, კვირას, ს. ვაჩნაძიანში სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა ადგილობრივ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი კომედია აკაკისა „ბუტიაობა“, გამართეს დივერტისმენტი და ცხოველი სურათები დადგეს. ხალხი საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილნიც დარჩნენ წარმოდგენით. მონაწილეობა მიიღეს ქ-მა ბ. ლ—როვმა, ს. მაჰავარიანმა; ბ-მა: მ. ლ. ჯანდიერმა, ვლ. ლ—როვმა და გ. რ—ძემ. სრული შემოსავალი იყო ხარჯს გარდა 15 მ. 50 კ. ეს ფული გარდაეცა ადგილობრივს მღვდელს, მ. ლაშხაურს.

⁂ სოფ. ძევერა: თუმცა გორსა და მახლობელს ადგილებში ხოლერა მძვინვარებს, მაგრამ ჩვენს სოფელში ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა. ჩვენც-კი ერთხანად დაგვირაკუნა კარი ამ საშინელმა სტუმარმა. 21 წლის ახალგაზდა კალატოზი სოსო ქეჩხუაშვილი სამუშაოზედ იყო თამარაშენში, ხოლო ერთი იქაური დურგალი ძევერაში მუშაობდა. ამ დურგლის ცოლი ხოლერით გარდაცვლილიყო თამარაშენში და სოსო კეჩხუაშვილისთვის დაევალებინათ—წადი ძევერას და შეატყობინე გარდაცვალებულის ქმარს, რომ მოვიდეს და თავის ცხედარს უპატრონოსო. ქეჩხუაშვილი ჩამოვიდა ძევერას 24 ივლისს და გაუმჟღავნა უბედურება დურგალს. მეორე დღეს თითონ სოსო ქეჩხუაშვილმა იგრძნო რომ ძალიან ცუდად იყო. მაშინვე შეეხვეწა თავის დედასა და ძმას—მარხილზედ დამდეთ და ეხლავ წამიყვანეთ ჩვენს ვენახშიო. იქავე სამარე გამითხარეთ და, თუ მოვკვდე, ჩამმარხეთ, მიწა მომაყარეთ და მარხილიც მაშინვე დასწვით, რომ სოფელს არ მოედოს ხოლერაო. მშობლებიც ასე მოიქცნენ. 26 ივლისს სოსო ქეჩხუაშვილი გარდაიცვალა. დედა და ძმა მთელი ერთი კვირა ვენახში სცხოვრობდნენ ორის ვერსის მოშორებით. თითონაც მშვიდობით გადარჩნენ. და სოფელიც დაიხსნა ქეჩხუაშვილის თავგანწირულებამ და გონიერებამ. მთელი სოფელი განუსაზღვრელის მადლობით იხსენიებს ასეთს სამაგალითოსაქციელს ახალგაზდა ყმაწვილისას, რომელსაც ეძახის მსხვერპლს სოფლის დღეგრძელობისას. ამ საქციელისთვის დიდი და პატარა პანაშვიდის გარდახდას უპირებს სოსო ქეჩხუაშვილს.

⁂ სოფ. წილკანი (დუშეთის მაზრა): სოფლიდგან ხოლერის გამო ხალხის გახიზვნას თან ათას გვარი ბოროტ-მოქმედება მოჰყვა: სახლები, ღვინის მარნები, ქათმები და სხვა აიკლეს—აახრეს სოფლის ქურდბაცაცებმა. 27 ივლისს შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ მტრობით გაუჩინეს ცეცხლი, სამი ძირი ძნა გადასწვეს და ერთი საბძელი. ძნის პატრონები ცეცხლში აპირებდნენ შეცვივნას, მაგრამ დროით მოასწრეს და სიკვდილს გადაარჩინეს. 23 ივლისსაც დაიწვა აქ ძნები, მაგრამ ეს დღისით მოხდა, ბავშვებს თამაშობის დროს წაეკიდებინათ. ერთი ჩვენი დარდიც: ეს ორი წელიწადია, ჩვენს სოფელს შემოეჩვია ერთი ქალაქელი მეწვრილმანე ბ. ხ—იანცი. სხვა წვრილმანეულობას გარდა, ამას ყოველ ნაირი „პარაშოკე-

---

იესორა კარგა დიდი ქალაქია (კალკუტას ახლო). 1817 წელს, 19 აგვისტოს მკურნალი ტაიტლერი ერთს ავადმყოფთან მიიწვიეს, რომელსაც ღამე პირ-ღებინება და ფაღარათობა აუტყდა. ავადმყოფი უკვე კვდებოდა. ტაიტლერს ეგონა, ეს ავადმყოფი მოუწამლავთო და შესაფერი ოქმი უნდა შაედგინა, მაგრამ იმ წამსვე შეატყობინეს, რომ იმავე ღამეს იესორაში პირ-ღებინებითა და ფაღარათობით ავად გამხდარა და გარდაცვლილა 17 კაცი. გაჩნდა იესორაში საშინელი სენი და ორის თთვის განმავლობაში 10,000 მცხოვრები იმსხვერპლა. ენკენისთვეში ხოლერა გაჩნდა კალკუტაში და ისე გაძლიერდა, რომ კვირაში 200 ქაცი კვდებოდა. ოქტომბერში ხოლერა მოედო ნეპოლს. ნოემბერში ინდოეთს საშინელი სიცხეები იყო, სუდნაში მარკიზ გასტინგსის ინგლისელთა ჯარი იდგა ბანაკად. გაუჩნდა ჯარს ხოლერა და თერთმეტი დღის განმავლობაში 80,000 კაცთ შორის 12,000 იმსხვერპლა. ამ გვარად მძვინვარებდა ხოლერა ბენგალიასა და ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში და 1817 წელს გარდაიცვალა ხოლერით ამ ადგილებში 600,000 კაცამდე.

1818 წელს ხოლერა მოედო მდინარე განგისა და ჯუმნის ხეობებს. ბენგალიიდგან გადავიდა დასავლეთისკენ—ნაგპურში. აგვისტოს გადავიდა ბომბეიში და მალაბარის მთელს ზღვის ნაპირს მოედო. დეკემბერში ხოლერა პირველად გადავიდა ზღვას და კუნძულ ცეილონზედ გაჩნდა.

1819 წელს ხოლერა მძვინვარებდა ოსტ-ინდიასა და ცეილონის კუნძულზედ და აქედგან წავიდა აღმოსავლეთისა და სამხრეთისკენ, მოედო ბირმანსა, სიამს და სინგაპურს, შემდეგ გადავიდა სუმატრასა, იავასა, ბორნეოსა და სხვა კუნძულებზედ. იმავე წელს ხოლერა უცბად გაჩნდა პორტ-ლუიში, შემდეგ კუნძულზედ ილ-დე-ფრანს. ცოტა ხანს შემდეგ ხოლერა გადავიდა ბურბონის კუნძულზედ, მადაგასკარის მახლობლად და 1820 წელს აფრიკის აღმოსავლეთს მხარეს მოედო.

ამავე 1820 წელს ხოლერა მძვინვარებდა ისევ იმ ალგილებში, საცა წინა წელს იყო, და შემდეგ გაჩნდა ფილიპინის კუნძულებზედ. აქ ხოლერა საშინლად მძვინვარებდა. ხალხი მთავრობის უკმაყოფილი იყო, ხოლერა მოიმიზეზა და აჯანყდა. ფილიპინის კუნძულებიდგან ხოლერა ეწვია ჩინეთს, მთელი ორი წელიწადი უწყალოდ ჰხოცავდა ჩინელებს და შემდეგ იაპონიაში გადავიდა.

ცოტა ადრე ხოლერამ ინდოეთიდგან დასავლეთისკენ გაიწია. 1821 წელს ხოლერა ბომბეიდგან გადავიდა მასკატში და აქედგან გავრცელდა მესოპოტამიამდე და იმავე დროს გადავიდა ჯერ შირაზსა, შემდეგ ისპაჰანსა და ბოსორაში. აქედგან ხოლერა აჰყვა მდინარე ტიგრის ხეობას და იქიდგან თავი ამოჰყო ბაღდადში. ბაღდადიდგან სპარსელებმა ხოლერა მთელს სპარსეთს მოჰფინეს. დადგა ზამთარი და სპარსეთში ხოლერა მოისპო. 1822 წლის გაზაფხულს ხოლერა ისევ გაჩნდა აქ, ტიგრის ხეობით ავიდა ქურთისტანს და აქედგან ეწვია სირიას. აგვისტოს ხოლერა გაჩნდა თავრიზში და აქედგან გადავიდა სომხეთში არზრუმამდე. 1822—23 წწ. ზამთარს ხოლერა განელდა, მაგრამ გაზაფხულში ისევ გამოიღვიძა, მოედო მთელს სირიასა, პალესტინას დამასკამდე და თითქმის ეგვიპტემდე მიაღწია. 1823 წელს ხოლერა საშინლადა მძვინვარებდა ჩინეთში. რუსეთის შეშინებულმა მთავრობამ მიჰმართა ჩინეთს და სთხოვა, რაიმე ღონისძიებანი იხმარეთ ხოლერის წინააღმდეგაო. ჩინელებმა უპასუხეს: „რაც უფრო მეტი ხალხი დაგვეხოცება, იმდენი უფრო მეტი ადგილი დარჩება ცოცხლებისთვისო“.

იმავე 1823 წელს ხოლერა ეწვია რუსეთსაც ჩრდილოეთ სპარსეთიდგან. ამ გვარად, 1821—1823 წლებში ხოლერამ ორჯელ იზამთრა, ერთხელ სპარსეთში და მეორედ რუსეთის საზღვართან და შემდეგ მოედო რუსეთს.

1823 წელს, 17 ივნისს კასპიის ზღვის პირას ლენკორანში უცებ ავად გახდა და გარდაიცვალა 4 კაცი. მკურნალმა ორლოვმა გარდაცვლილთა გვამები შეამოწმა და სცნა, რომ ხოლერით გარდაცვლილიყვნენ. 27 ივნისს ხოლერითვე გარდაიცვალა მკურნალი ორლოვიც. ივლისში ხოლერა გაჩნდა ლენკორანიდგან 5 ვერსის მოშორებით და 7 კაცი იმსხვერპლა. ცოტა ხანს შემდეგ ხოლერა აღმოჩნდა სალიანის კუნძულებზედ და აჰყვა მტკვრის ხეობას. მარიამობისთთვეში ტფილისში ამბავი მოიწერა მკურნალმა გოსტიევმა, ბაქოში ხოლერა გაჩნდაო. ცოტა ხანს ბაქოში ხოლერა შესწყდა, მაგრამ დიდის წვიმების შემდეგ ისევ გაძლიერდა. ხალხი საშინლად დაშინდა და მთებში გაიხიზნა. 10 სექტემბერს გადავიდა კრასნი-იარში და აქედგან აჰყვა მდინარე ოლგას მარცხენა ნაპირს და დაერია ამ ნაპირზედ გაშენებულს სოფლებს. ასტრახანში მკურნალმა გორლოვმა გასჭრა ერთი გვამი დ დარწმუნდა, რომ ხოლერიანი ყოფილიყო. ასტრახანშივე გარდაიცვალა ხოლერით რუსეთის მეორე მკურნალი ზენჩიკოვი. ხოლერა მძვინვარებდა რუსეთში 24 სექტემბრამდე, მერე განელდა და 4 ოქტომბერს სიცივის გამო სრულიად მოისპო. ამ დროს ასტრახანში ხოლერით ავად გახდა სულ 371 და გარდაიცვალა 193. შემდეგ თთვეებში აზიაშიაც ხოლერა თანდათან განელდა და გაზაფხულზედ აღარ გაჩენილა. მას შემდეგ მთელს 4 წელიწადს ხოლერა თავის სამშობლო ინდოეთიდგან არსად გადასულა. მაგრამ, თითქო ამ 4 წელიწადს დაისვენა ძალ-ღონის შესაკრეფად, შემდეგ ისევ მთელს დედამიწის ზურგს მოედო.

დანარჩენი შემდეგ.

აბრა

ბი“, „კაპლები“ და სხვა მოაქვს ქალაქიდგან და ავადმყოფებს გაჭირებაში სისხლის ფასად აძლევს. ამ კაცის საწვრილმანოს დუქანი გავსინჯეთ, მაგრამ ძნელი ასაწერია, რაც ამ დუქანში საზიზღრობა აღმოჩნდა. გოფმანის კაპლის მაგიერ არაყში სამი ან ოთხი წვეთი გოფმანის კაპლი გაურევია და ისე ჰყიდის. რასაკვირველია, სხვა წამლებიც ამ ღირსებისა იქნება. ეს უცნაური წამლები გამოვართვით, ფერშალს დავაბეჭდინეთ და ჯერ-ჯერობით ისევ პატრონს ჩავაბარეთ.

*** სოფ. კნოღვეი: ჩვენის სოფლის მახლობლად მდებარებს ერთი პატარა სოფელი, სახელად ბადქინეთი, სადაცა სცხოვრობს თოთხმეტი კომლი ხალხი: ნახევარი აზნაურები არიან შალიბაშვილები და ნახევარიც გლეხობა. საზარელი ამბავი დატრიალდა ამ სოფელში 25 წარსულ თთვეს. ამ დღეს ავნევიდგან ეწვია თავის დას ერთი საწყალი დედაკაცი, რომელსაც ავადმყოფობა ეგრძნო და ნათესავებისაკენ წამოსულიყო, მიპატრონებენ მაინცაო. ჯერ ერთს სოფელში მისულიყო ძმასთან, მაგრამ ძმას არ მიეღო—იქიდგან ავადმყოფს დედაკაცს აეღო თავი და ასულიყო დასთან ბადქინეთში. დას მიეღო, დაეწვინა თავის სახლში და ეცნობებინა სოფლისთვის, რომ ხოლერიანი ავადმყოფი მყავსო. მაშინვე მთელი სოფელი აიბარგა და გაიხიზნა ისე, რომ სოფელში აღარავინ დარჩა, გარდა ავადმყოფისა, რომელსაც მიუდგეს თურმე ერთი ლიტრა წყალი და გამოუკეტეს კარი. საცოდავი იმავ ღამეს გარდაცვლილიყო უპატრონოდ. მაგრამ ამითი არ გათავდა უდიერობა ნათესავებისა და სოფლისა გარდაცვალებულის მიმართ: მისი დასაფლავება არავინ იკისრა, ქრისტიანობრივი წესი არავინ აუგო და მთელი ერთი კვირა ცხედარი იდო კარ-გამოკეტილს სახლში. ბოლოს აცნობეს ბოქაულსაც. ამან მოსწერა მამასახლისს, რომ უთუოდ დაესაფლავებინა, მაგრამ მამასახლისმაც ვერ შეჰბედა. ბოლოს, როგორც იყო, დაარცხვინეს მიცვალებულის ძმა, შეაიარაღეს წამლებით და გააბედვინეს დასაფლავება, მაგრამ ერთის კვირის საგზალი-კი გაატანეს, რომ თავის სოფელში აღარ დაბრუნებულიყო და ხოლერა არ ჩამოეტანა. გახიზნულმა სოფელმა დაიბარატყეში მღვდელი და დიდით-პატარამ, დე წინადვე ეზიარნენ, რომ უზიარებელნი მაინც არ დავიხოცნეთო.

*** არბო: ამ მკათათვის 14 აქაურმა მღვდელმა მამა გ. გვიმრაძემ ეკკლესიის წინ გადიხადა პარაკლისი, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელის სოფლის კაცი და ქალი თავიანთ ბავშვებით. შემდეგ პარაკლისისა, მოძღვარმა თავის მრევლით შემოუარა გარეშემო ეკკლესიას ლოცვითა და ვედრებით. როდესაც ხალხი შეგროვდა კვალად ეკკლესიაში, მაშინ მ. გ. გ—ძემ სთქვა: ეცადენით, შვილებო, და მოიშორეთ თავიდგან ყოველ გვარი უსუფთაობა: სახლები, ეზოები და მომეტებულად თქვენი საკუთარი თავი სუფთად შეინახეთ. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. თქვენ ღვთისაგან მოცემული გაქვთ არა მარტო სხეული, არამედ სულიცა. იზრუნეთ, შვილებო, თქვენის სულისათვისაც. დაანებეთ თავი შურსა და მტრობას, იცხოვრეთ ერთმანეთში მეზობლურის სიტკბოებითა და ქრისტიანულის სიყვარულით. ერიდენით როგორც ბევრს მუშაობას, აგრეთვე უზომო ქეიფს: სმასა და ჭამას. დამტკიცებულია, რომ როგორც დაღლილ-დაქანცულ კაცს, ისე ლოთსა და გაუმაძღარს ძალიან ადვილად უჩნდება ხოლმე ეს საზარელი ავადმყოფობა. ყველამ ერთმანეთს ძმურად, მამაშვილურად მხარი მხარს მივცეთ და მაშინ ღმერთიცა და ეს ჩვენი დიდი მთავარ-მოწამე წმიდა გიორგიც დაგვიფარავენ მომავალის უბედურებისაგან.

*** 26 ივლისს პეტერბურგიდგან წამოვიდნენ კავკასიაში ექიმი-სტუდენტები ხოლერასთან საბრძოლველად. ნიკოლაევის რკინის გზის მმართველობამ ამ სტუდენტებს ერთი ვაგონი 1 კლასისა უფასოდ დაუთმო. ეს სტუდენტები, გაზ „С.-Пет. Вѣд.“ სიტყვით, გამოგზავნილნი არიან სამხედრო მინისტრის პ. ს. ვანნოვსკის განკარგულებით.

*** გაზ. „Каспій“ სწერს: ბაქოს ქალაქის მოურავმა დაურიგა საჩუქარი ბოქაულებსა და პოლიციის ყველა მოხელეს, თითოეულს ოც-ოცი მანეთი. ამასთანავე ფულის ზოგიერთ ნაწილის მაგიერად დაურიგდათ მეორე საქველ-მოქმედო ლოტარიის ბილეთები, რომელიც გაუყიდველი დარჩა.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ: ბაქოში ერთი უცნაური კაცი დაიარება, შუა ხნისა; დაუჭერს ხოლმე ეს ახირებული კაცი ორს ბავშვს ხელს და დარბის ბაღებში, სადაც ხალხი სეირნობს, ვითომ „ცხენობანასა“ თამაშობს და თან ყვირის, „განი, გზაო“. 2 აგვისტოს მოდიოდნენ ერთი კაცი და ერთი ქალი. დაუყვირა თუ არა ამ კაცმა „განიო“, ეს ქალი ისე შეშინდა, რომ იქვე გული წაუვიდა და დაეცაო.

*** 4 აგვისტოს რიყეზედ დარჩო მარკოზოვის ლუდხანაში შევიდა სპარსეთის ქვეშევრდომის ცოლი რეჰკა. ამ ქალთანვე შევიდა ისააკ გივარგიზოვი, ბებუთით მარჯვენა გვერდში დასჭრა და შემდეგ ბებუთი გადააგდო და გაიქცა, მაგრამ გზაში პოლიციელი დაუხვდა და შეიპყრო. ქალი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** 6 ამ თთვისას თამამშოვის ქარვასლაში მალაევის მაღაზიაში ელისაბედ საფაროვისამ რევოლვერი ესროლა თავის ქმარს ვასილს, რომელსაც ტყვიამ მარჯვენა გვერდი გაუკაწრა. კაცს შემწეობა აღმოუჩინეს. ქალი-კი შეიპყრეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ქ. სიღნაღი.** 20 ივლისი. თუმცა კუს ნაბიჯით მიღოღავს ჩვენს კიზიყის მხარეს წიგნებით ვაჭრობა, მაგრამ არა უჭირს-რა, იმედია, ერთხელ ეს კუს ნაბიჯი იორღად გადაიქცევა, თუ ცა და ღრუბელი დაუშვიდდა. ქ. სიღნაღის ქართულ წიგნების მაღაზიასა ჰქონდა 1 იანვარს 1892 წელს 2024 ცალი 262 სხვა-და-სხვა ჯურა წიგნი. 1 იანვრიდგან 1 ივლისამდე კიდევ შეიძინა 804 ცალი სხვა-და-სხვა წიგნი. სულ ამ ექვსის თთვის განმავლობაში ჰქონდა მაღაზიას 2828 ცალი საკუთარი წიგნი. აქედგან გაიყიდა 738 ცალი წიგნი (შარშან გაიყიდა 457 ცალი წიგნი), დარჩა პირველ ივლისისათვის 2090 ცალი წიგნი გაუყიდავი, გარდა სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო წიგნისა. კომისიოთა ჰქონდა 1 იანვარს მაღაზიას 1226 ცალი წიგნი და ამავე ექვსის თთვის განმავლობაში მიიღო კიდევ სხვა-და-სხვათაგან 633 ცალი წიგნი, სულ 1859 ცალი. გაიყიდა 282 ცალი წიგნი (შარშან 129 ცალი გაიყიდა) სულ საკომისიოდ და საკუთარ წიგნებს უტრიალნია მაღაზიაში 4687 ცალს და გაყიდულა ორივე 1020 ცალი წიგნი, დარჩა გაუყიდავი 3667 ცალი (შარშან გვქონდა ორივე საკომისიო და საკუთარი წიგნები 3250 ცალი, გაიყიდა 646 ცალი წიგნი და დაგვრჩა 2604 ცალი წიგნი). ასე, ბატონებო, თუმცა იორღით არ მიდის ჩვენი ვაჭრობა, მაგრამ მაინც ორიოდე ნაბიჯი წინ წასდგა. ახლა დღეობა-ხატობებში ნავაჭრს დავაკვირდეთ და შევუდაროთ წრევანდელი ნავაჭრი შარშანდელს და ვნახოთ, რომელი სოფელია უფრო გონებით განვითარებული. აი სიაც: ამ ექვსს თთვეში სულ იყო რვა დღესასწაული და სადაც-კი ხელი მიუწვდა და გარემოებამ არ დააბრკოლა, მაღაზიამ ყველგან მიაწოდა გონების საზრდო. 1) 6 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს, ს. საქობოს გაიყიდა 2 მან. 60 კაპ.; 2) 7 აპრილს (სამებობას) ს. მაშნაარს—1 მან. 95 კაპ.; 3) 12 აპრილს, კვირაცხოვლობას ს. ვაქირს—5 მან. 35 კაპ.; ამავე დღეს ს. ანაგას—1 მან. 60 კაპ.; 4) 23 აპრილს წმ. გიორგობას ნუკრიანს 2 მან. 67 კაპ.; 5) 7 მაისს ძელისცხოვლობას ს. ნუკრიანს—1 მან. 40 კაპ.; ამავე დღეს ს. ჯუგაანს—3 მან. 30 კაპ.; 6) 14 მაისს (ამაღლებას) წმ. ქართ. განმანათ. ნინოს დღეობაზედ ს. ქედელში (დიდძალი ხალხი იყო სიღნაღლები) გაიყიდა 10 კაპ.; ამავე დღეს ს. ანაგას—4 მან. 10 კაპ.; ამავე დღეს ს. ბოდბისხევს—1 მან. 40 კაპ.; 7) 24 მაისს ს. ბაკურციხეს (გომართობას)—1 მან. 99 კაპ. (ამ ნავაჭრიდგან ცხენის ქირა მიეცა 1 მან. 60 კაპ.); 8) თიბათვის 24-ს ნათლის-მცემლობას ს. ვაქირს—3 მ. ნ. 85 კაპ.; ამავე დღეს სოფ. ფანიანს 1 მან. 50 კაპ. რვა დღესასწაულს გაიყიდა სულ წიგნები 31 მან. 81 კაპ. (შარშან 7 დღესასწ.-კი 12 მან 42 კაპ.).

რაც შეეხება სამკითხველოს, როგორც დავპირდით საზოგადოებას, უნდა გამართულიყო ამ ივლისის პირველს. ჩვენის შეძლებისდა გვარად მოვემზადეთ და თხოვნაც მივართვით ადგილობრივ სამმართველოს, რომ ნება დაგვრთონ, ვისიც ჯერ არს. თხოვნა მივართვით 29 ივნისს და დღე-დღეზედ მოველით. სამკითხველოში მზად არის საკითხავად 38 სხვა-და-სხვა წიგნი და ჟურნალი რუსული და 155 ცალი ქართული სხვა-და-სხვა წიგნი, სულ 193 ცალი. გაზეთები არის: ა) „ივერია“, ბ) „მეურნე“, გ) „ჯეჯილი“, დ) „მწყემსი“ (ამ უკანასკნელ ორ გაზეთისათვის ამ დღეებში გაიგზავნება ფული); რუსული „Тиф. Листокъ“-ი, „Кавказъ“-ი, „Новое Обозрѣніе“. სომხური გაზ. „მშაკი“. აგრეთვე შემოსწირეს სამკითხველოს წიგნები: მ. ი. მენთეშაშვილმა 1 წლის ჟურნალი „Нива“ ყდით 1887 წ. ს. ა. თუმანიანცმა ერთი ცალი საქართველოს ძველის დროის მეფეების შესახებ, შილერის აზრები 1 ცალი, თომა კეკელიშვილმა „თვით-განვითარება“, ვ. ე. ჯანიკაშვილმა „Святая гора Аѳонъ“ 1 ცალი, შ. ვ. ქანანოვმა „ღამის მეხრე ცეცო“ 1, რობინზონ კრუზე 1, ფიზიკური აღზრდა 1, „Солдатское чтеніе“ 1, „ტფილისიდგან პეტერბურგამდე“ 1, ნ. ნ. ტერმათეოზოვმა—ჟურნალი „Вѣстникъ Европы“ 10 ცალი 1884 წ., რისთვისაც მადლობას ვუცხადებთ.

მაღაზიის მმართველნი: ⎧ ა. მაჭავარიანი ⎩ ი. შელიაშვილი

## რუსეთი

ქ. ასტრახანში 28 ივლისს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 8, მორჩა 16; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 255, გარდაიცვალა 187, მორჩა 83.

ვლადიმერის გუბერნიაში 28 ივლისს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 6, მორჩა 4.

ქ. ვორონეჟში 27 ავად გახდა 75, გარდაიცვალა 21; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 187, გარდაიცვალა 106.

ქ. ვიატკაში 28 ივლისს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში 27 ივლისს ავად გახდა 134, გარდაიცვალა 61, მორჩა 48.

ქ. ეკატერინოსლავში 28 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 97, გარდაიცვალა 14, მორჩა 11.

ქ. ყაზანში 28 ივლისს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 5, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 95, გარდაიცვალა 18.

კოსტრომას გუბერნიაში 27 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 4.

კურსკის გუბერნიაში 28 ივლისს ავად გახდა 23, გარდაიცვალა 11.

ქ. მოსკოვში 28 ივლისს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 6, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1.

ქ. ნიჟნი - ნოვგოროდში 29 ივლისს ავად გახდა 47, გარდაიცვალა 14, მორჩა 55; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 92, გარდაიცვალა 29, მორჩა 17.

ქ. ორენბურგში 28 ივლისს ავად გახდა 253, გარდაიცვალა 127, მორჩა 59; მთელს გუბერნიაში 26—29 ივლისს ავად გახდა 57, გარდაიცვალა 25, მორჩა 4.

ქ. ელცში (ორლოვის გუბერნიაში) 27 ივლისს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

ქ. პენზაში 28 ივლისს ავად გახდა 31, გარდაიცვალა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 41, მორჩა 8.

ქ. პერმში 28 ივლისს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 7, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 75, გარდაიცვალა 40.

პოლტავას გუბერნიაში 27 ივლისს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2.

ქ. რიაზანში 28 ივლისს ავად გახდა 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 1, მორჩა 11.

ქ. სამარაში 28 ივლისს ავად გახდა 66, გარდაიცვალა 32, მორჩა 43; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 169, გარდაიცვალა 75.

ქ. სარატოვში 28 ივლისს ავად გახდა 91, გარდაიცვალა 32.

ქ. ცარიცინში 27 ივლისს ავად გახდა 7, გარდაიცვალა 6, მორჩა 6.

ქ. სიმბირსკში 28 ივლისს ავად გახდა 25, გარდაიცვალა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 244, გარდაიცვალა 87.

ტამბოვის გუბერნიაში 29 ივლისს ავად გახდა 182, გარდაიცვალა 75.

ქ. ხარკოვში 28 ივლისს ავად გახდი 1, გარდაიცვალა 2, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 145, გარდაიცვალა 56.

ქ. იაროსლავში 28 ივლისს ავად გახდა 13, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1.

ქ. ნოვოჩერკასკში 28 ივლისს ავად გახდა 24, გარდაიცვალა 11, მორჩა 8.

ქ. როსტოვს და ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 135, გარდაიცვალა 48, მორჩა 59.

ქ. ტაგანროგში ავად გახდა 40, გარდაიცვალა 25; მთელს ოლქში ავად გახდა 704, გარდაიცვალა 314, მორჩა 250.

ქ. ტობოლსკში 28 ივლისს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 9, მორჩა 6.

ქ. ტომსკში 28 ივლისს გარდაიცვალა 28; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 18.

ქ. ურალსკში 26—29 ივლისს ავად გახდა 58, გარდაიცვალა 12; ქ. გურიევში იმავე დროს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 29; მთელს ოლქში 24—29 ივლისს ავად გახდა 69, გარდაიცვალა 45.

ქ. ტაშკენტში 22—23 და 24 ივლისს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 40.

თურქესტანის ოლქში იმავე დროს ავად გახდა 115, გარდაიცვალა 148.

## დეპეშა

5 აგვისტო

**პეტერბურგი.** გუშინ 1,168 კაცმა დაიჭირა აფიცრის ეგზამენი, 87 კაცით მეტმა შარშანდელ წელთან შედარებით.

3 და 4 აგვისტოს პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 70, მორჩა 5, გარდაიცვალა 5.

**ლონდონი.** ახალი კომიტეტი უკვე შედგენილია: გლადსტონი — პირველი ლორდია ხაზინისა, ლორდ გერშელი—ლორდ კანცლერი, ლორდ კიმბერლეი—ინდოეთის სტატს-სეკრეტარი, ლორდ როსბერრი—გარეშე საქმეთა მინისტრი, ლორდ რიპონი — ახალშენებისა, ასკუისზი — შინაგან საქმეთა, ბანნერმანი—სამხედრო, სპენსერი—პირველი ლორდი ადმირალტეისტვოსი, გარკორტი — კანცლერი ხაზინისა, ჯონ მორლეი — ირლანდიის უფროსი სეკრეტარი, ლორდ ხაქტონი—ირლანდიის ვიცე-კოროლი.

**ლონდონი.** რუსთა ექსპედიცია რონდში მოვიდა, შუგნანსა და როშას შუა ამუ-დარიაზედ. ავღანელები, როგორც ხმა ისმის, არაიზაბადთან ავიდნენ, ჩინელები—პამირში გადავი-

დნენ ჩრდილოეთისკენ და ამ გვარად გზა თავისუფალი დასტოვეს რუსებისთვის.

6 აგვისტო.

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩს პოლკოვნიკობა ებოძა.

გაზ. „Kalissaniu“-ს გამოცემა შეჩერებულია რვა დღით.

კვლავ ნება დართულ იქმნა ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზ. ს.-პეტერბურგის უწყებისა“ და აგრეთვე კერძო განცხადებათა ბეჭდვა.

სამკურნალო დეპარტამენტმა სხვა-და-სხვა გუბერნიაში 3,456 ფუთი კარბოლის სიმჟავე გაჰგზავნა.

4-სა და 5-ს აგვისტოს პეტერბურგში ავად გახდა 60, მორჩა 19, გარდაიცვალა 22.

„Гражданинъ“-ი იუწყება: პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობის შუამდგომელობა, ნება დაგვერთოს, რომ კერძო სათავად-აზნაურო გარდასახადი შევაწეროთ თავად-აზნაურთა საქალაქო მამულებსაო, შეწყნარების ღირსად იქმნა ცნობილიო.

სამხედრო სასწავლებელთა დათხოვნილი მოსწავლენი სასწავლებელში უნდა დაბრუნდნენ 8 სექტემბერს; მისაღები ეგზამენები დაიწყება 1 სექტემბერს.

პეტერბურგის ბირჟა, 4 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $9^3/_4$ | $7,_{78}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | $155^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | $1,_{08}$ | $1,_{10}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $235^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | $102^3/_4$ |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $102^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | $99^3/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | „ | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | . |
| მე-3 „ „ „ | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |

## განცხადებანი


**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—87)

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

**ბრძოლა**

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა **გ. წერეთლისა**

ფასი სამი შაური

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი. შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . . | „ | 50 |

უწმიდესის უმართებელესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის სადგომში ამა 1892 წლის 11 სექტემბერს **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** (თუ არ შესდგა, განმეორებული ვაჭრობა მოხდება 16 სექტემბერს) **იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოს ორის ნაწილის საძოვარ მიწის იჯარით გასაცემად.** პირველის ნაწილის საზღვრებია: აღმოსავლეთით—არხი, გუთან-გავლებული, დასავლეთით და სამხრეთით—კვალია გავლებული და ჩრდილოეთით—მთა ალაგი, „ტფილისის ხევად“ წოდებული; მეორე ნაწილისა: აღმოსავლეთით—ფშატიანთ-ხევი და ბილიკი, რომელიც სოფ. საგარეჯოსკენ მიდის, სამხრეთით—გზა, რომელიც იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოდგან სოფ. ხაშმისაკენ მიდის, დასავლეთით—კვალია გავლებული, რომელიც საზღვარის ნიშანიც არის, და ჩრდილოეთით—ქედი, „თეთრ უდაბნოს სერად“ წოდებული. ეს მიწები იჯარით გაიცემა ერთადაც და ცალკ-ცალკეც, როგორც იჯარით აღების მსურველნი მოისურვებენ. მსურველთ შეუძლიათ გამოცხადდნენ სინოდის კანტორაში, ანუ დაბეჭდილი წერილი გამოჰგზავნონ დანიშნულ დროსთვის, დილის ათ საათზედ, შესაფერის წინდითურთ. წინდი უნდა იყოს ფულად და ან საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებად. ამასთანავე უნდა წარმოუგზავნონ თავისის წოდების ქაღალდიც. საძოვარ ადგილების იჯარით გაცემის პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიათ სინოდის კანტორის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—2)

Maison Hermann-Lachapelle, J. BOULET & C-ie, successeurs
**31-33.** Rue Boinod à PARIS.

ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წ.

**ოთხი ოქროს მედალი**, პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ მიღებული **1889** წ.

განუწყვეტლად მომქმედი მანქანა საკეთებლად



ყოველის გაზის სასმელისა: ლიმონადისა, სოდის წყლისა და შუშხუნა ღვინოებისა. ერთად-ერთი მანქანა, შიგნიდგან დმოვერცხლილი. იაფონი ყოველის ფასის ფერის

დაწვრილებითი კატალოგი უსასყიდლოდ იგზავნება.

(5—4)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ[illegible] გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редак[illegible] газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლებში, №.